უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიაში ლოცვით აღნიშნეს უნეტარესი მიტროპოლიტი ონოფრეს ინტრონიზაციის მეშვიდე წლისთავი

2020 წლის 17 აგვისტოს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის კიევ-პეჩერის ლავრაში ზეიმი ჩატარდა კიევისა და სრულიად უკრაინის უნეტარესი მიტროპოლიტი ონოფრეს ინტრონიზაციის მეშვიდე წლისთავთან დაკავშირებით. საღვთო ლიტურგიას მიძინების სახელობის ტაძრისწინა მოედანზე უკრაინის ეკლესიის წინამძღვარი წარუძღვა.

მის უნეტარესობას თანამსახურებდნენ ოდესისა და იზმაილის მიტროპოლიტი აგათანგელოზი, ჰუსტისა და ვინოგრადოვის მიტროპოლიტი მარკოზი, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის საეკლესიო სასამართლოს თავმჯდომარე კამენეც-პოდოლსკისა და გოროდოკის მიტროპოლიტი თეოდორე, კიევო-პეჩერის ლავრის წინამძღვრის მოადგილე ვიშგოროდისა და ჩერნობილის მიტროპოლიტი პავლე, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის მდივანი, უმე-ს საქმეთა მმართველი ბორისპოლისა და ბროვარის მიტროპოლიტი ანტონი, სოროკის ეპისკოპოსი იოანე (მოლდოვის მართლმადიდებელი

ეკლესია), უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მაღალიერარქების კრებული, სასულიერო პირები კიევო-პეჩერის ლავრიდან, კიევის ეპარქიიდან და სამღვდელო ხარისხის მქონე დღესასწაულის სტუმრები.

მცირე შესვლაზე უნეტარესმა მეუფემ მიტროპოლიტის ხარისხში აღამაღლა ივან-ფრანკოვსკისა და კოლომიას მთავარეპისკოპოსი სერაფიმე, ბურინისა და რომნის მთავარეპისკოპოსი იოსები, ჩერკასისა და კანევის მთავარეპისკოპოსი თეოდოსი. მთავარეპისკოპოსის ხარისხში აყვანილ იქნენ ზოლოტონოშას ეპისკოპოსი იოანე, ბოლგრადის ეპისკოპოსი სერგი, ნოვიე-სანჟარის ეპისკოპოსი ბენიამენი, ივანოვსკის ეპისკოპოსი კასიანე.

უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე დამსახურებისთვის და ამ წელს ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით რიგი მაღალიერარქებისა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ჯილდოებით დაჯილდოვდნენ: პოლტავისა და მირგოროდის მიტროპოლიტი ფილიპე 65 წლის იუბილესთან დაკავშირებით – იობ პოჩაეველის I ხარისხის ორდენით, კიროვოგრადისა და ნოვომირგოროდის მიტროპოლიტი იოასაფი 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით – უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ორდენით „ქრისტეს შობა“, კრივოი-როგისა და ნიკოპოლის მიტროპოლიტი ეფრემი 55 წლის იუბილესთან დაკავშირებით – მოციქულთა სწორი მთავრის ვლადიმერის I ხარისხის ორდენით, ჩერნოვცისა და ბუკოვინის მიტროპოლიტი მელეტი ეპისკოპოსად კურთხევის მე-15 წლისთავთან დაკავშირებით – მოციქულთა სწორი მთავრის ვლადიმერის I ხარისხის ორდენით, კრემენჩუგისა და ლუბნის მიტროპოლიტი ნიკოლოზი ეპისკოპოსად კურთხევის მე-10 წლისთავთან დაკავშირებით – მოციქულთა სწორი მთავრის ვლადიმერის I ხარისხის ორდენით, ნოვაია-კახოვკისა და გენიჩესკის მიტროპოლიტი ფილარეტი ეპისკოპოსად კურთხევის მე-10 წლისთავთან დაკავშირებით – წმინდა თეოდოსი ჩერნიგოველის ორდენით, ხოტინის ეპისკოპოსი ბენიამენი 55 წლის იუბილესთან დაკავშირებით – წმინდა თეოდოსი ჩერნიგოველის ორდენით, ირპენის ეპისკოპოსი ლავრი 35 წლის იუბილესთან დაკავშირებით – წმინდა დიმიტრი როსტოველის ორდენით.

ღვთისმსახურებაზე მხურვალე ლოცვები იქნა აღვლენილი კორონავირუსის პანდემიის დასრულებისთვის, სნეულთა გამოჯანმრთელებისთვის და ექიმებისთვის, რომლებიც ბრძოლას აწარმოებენ მათი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის.

სახარების წაკითხვის შემდეგ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარმა ქადაგება წარმოთქვა შვიდი ეფესელი ყრმის ცხოვრების შესახებ.

ლიტურგიის დასრულებისას ბორისპოლის მიტროპოლიტმა ანტონიმ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვრის ინტრონიზაციის დღესთან დაკავშირებით ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების მილოცვები წაიკითხა.

შემდეგ ოდესისა და იზმაილის მიტროპოლიტმა აგათანგელოზმა, წმინდა სინოდისა და უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მთელი სამწყსოს სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა.

უნეტარესმა მეუფემ მილოცვისთვის მადლობა მოახსენე მეუფე აგათანგელოზს, ეპისკოპოსებს, სასულიერო პირებს და უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ყველა მორწმუნეს, რომლებიც რთულ დროში ინარჩუნებენ ჭეშმარიტი სარწმუნოების ერთგულებას და ესწრაფვიან ქრისტეში ერთობას, დაფუძნებულს არა ადამიანურ პრინციპებზე, არამედ საღვთო კანონებზე.

საღამოს მიტროპოლიტმა ონოფრემ კიევ-პეჩერის ლავრის ძირითად მოედანზე ღამისთევის ლოცვის წეს-განგება [უმაღლესი სადღესასწაულო რანგის დიდი მწუხრისა და დიდი ცისკრის მსახურება] შეასრულა.

უმე-ს საინფორმაციო-საგანმანათლებლო განყოფილება/

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87885/